ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 29240102**
თარიღი:**10/01/2024**

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საშეშე მერქნის ნატურით - უსასყიდლოდ გადაცემის 2024 – 2025 წლების პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე- 16 მუხლის მე-3 ნაწილის, მე-4 ნაწილის, მე-19 მუხლის ,,ბ,, პუნქტის, 24-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საშეშე მერქნის ნატურით - უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ 2024 – 2025 წლების პროგრამა თანდართული სახით.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM

დანართი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საშეშე მერქნის ნატურით - უსასყიდლოდ გადაცემის 2024 - 2025 წლების პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ა) პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საშეშე მერქნის ნატურით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ 2024 – 2025 წლების პროგრამა.

ბ) პროგრამის მოქმედების პერიოდი: 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

გ) საშეშე მერქნის გაცემის დრო: საშეშე მერქანი გაიცემა წლის განმავლობაში მოთხოვნის შესაბამისად საჭიროებისამებრ.

დ) პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეთა კატეგორია:

პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ მოქალაქეებს.

ბ) მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფ ოჯახებს.

გ) მრავალშვილიანთა ოჯახებს და მარტოხელა მოხუცებს.

დ) სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს.

ე) თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოქმედ საექიმო ამბულატორიებს.

ვ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ ან დასახიჩრებულ მეომართა ოჯახებს.

მუხლი 3. საშეშე მერქნის მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

1. პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რასაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ამ პროგრამის მეორე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტი.

გ) შესაბამის ადმინისტრაციულში ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია. რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში საკმარისია ერთ - ერთის რეკომენდაცია.

დ) საექიმო ამბულატორიების შემთხვევაში ამბულატორიის ხელმძღვანელის წერილობითი მომართვა.

მუხლი 4. საშეშე მერქნის გაცემის წესი და ოდენობა:

1. პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს/ამბულატორიებს პირადი განცხადების საფუძველზე უსასყიდლოდგადაეცემათ საშეშე მერქანი 2.5 – 3 კბ.მ. ოდენობით - კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად, რომლის ადგილზე ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

3. სამუშაო ჯგუფი შედგება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისგან, ასევე სურვილის შემთხვევაში საკრებულოს წევრებისაგან მათივე თანხმობით.

4. განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფი ამზადებს მერის ბრძანების პროექტს და მისი გამოცემის შემდგომ უზრუნველყოფს განმცხადებლისათვის საშეშე მერქნის გადაცემას, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი